

## ზოგიერთი ქიმიური მახასიათებლის განსაზღვრა სტალაქტიტებში

### ნუნუ ლაბარტყავა

ელ-ფოსტა: [nunu.labartkava@tsu.ge](mailto:nunu.labartkava@tsu.ge)

ქიმიის დეპარტამენტი, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №3

### ანოტაცია

ჩვენს მიერ გამოკვლეულ იქნა პრომეთეს (ყუმისთავი, ღლიანი) და სოლკოტის მღვიმეების რამდენიმე სტალაქტიტის ქიმიური შედგენილობა.

მღვიმეებში სხვადასხვა ადგილებიდან აღებულ სტალაქტიტების ნიმუშებში სტანდარტული მეთოდების გამოყენებით განსაზღვრულია ტენიანობა, გახურების დანაკარგი, კალციუმის, მაგნიუმის, ნატრიუმის, კალიუმის და რკინის შემცველობები, აგრეთვე მიკროელემენტების სპილენძისა და თუთიის შემცველობა. შედეგები მოყვანილია ცხრილებში:

N	ნიმუში	აღების ადგილი	ტენი %	გახ. დანაკარგი %	Ca <sup>2+</sup> მგ/გ	Mg <sup>2+</sup> მგ/გ	K <sup>+</sup> მგ/გ	Na <sup>+</sup> მგ/გ	Fe <sup>3+</sup> მგ/გ
1	სტალაქტიტი	პრომეთეს მღვიმე	0.15	16.97	320.0	36.5	0.0	2.30	0.78
2	სტალაქტიტი	პრომეთეს მღვიმე	0.54	16.97	297.4	42.3	0.0	1.93	3.45
3	სტალაქტიტი	პრომეთეს მღვიმე	0.18	16.74	289.7	48.8	0.0	1.60	0.60
4	სტალაქტიტი	სოლკოტას მღვიმე	0.08	13.18	349.0	24.3	0.0	1.45	1.73
5	კედლ. ნატეხი	სიფონური ტბა	8.81	23.82	179.6	54.8	0.1	1.40	14.01

N	ნიმუში	აღების ადგილი	Cu ppm	Zn ppm
1	სტალაქტიტი	პრომეთეს მღვიმე	4.99	<1.0
2	სტალაქტიტი	პრომეთეს მღვიმე	4.46	<1.0
3	სტალაქტიტი	პრომეთეს მღვიმე	5.00	<1.0
4	სტალაქტიტი	სოლკოტას მღვიმე	1.00	<1.0
5	კედლ. ნატეხი	სიფონური ტბა	10.48	25.0

როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი შემადგენელი კომპონენტია კალციუმი. მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ სტალაქტიტების ქიმიური შედგენილობა ( როგორც მაკრო-, ასევე მიკრო) დაახლოებით ერთნაირია.

რაც შეეხება სიფონური ტბის მიმდებარე კედლის ჩამონატეხს, ქიმიური შედგენილობა მკვეთრად განსხვავებულია. ყურადღებას იქცევს რკინის, სპილენძისა და თუთიის მომატებული შემცველობები.